# ხაზეთის ხმა

ავტონომიური რესპუბლიკის
და უმაღლესი საბჭოს გაზეთი

18 თებერვალი
2005
№6 (18730)


# აფხაზეთის სტატუსის შესახებ მსჯელობისას რუსის ჯარს ნუ დავივიწყებთ...

**ნახევარ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ექსპერტთა ჯგუფმა (კ.კუბლაშვილი, პ.ზაქარეიშვილი, ი.ხაინდრავა და სხვები) საზოგადოებას შესთავაზეს კონცეფცია აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის თაობაზე ქართულ სახელმწიფოში, რომელსაც იმთავითვე მწვავე გამოხმაურებები მოჰყვა. ამ კონცეფციის კვალდაკვალ გაჩნდა სახელმწიფოს მოწყობის სხვა გეგმა-პროექტებიც, რომელთა უმრავლესობა საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის.**

**რადგან არსებობს კონცეფციები და მათ შესაქმნელად გარკვეული შრომაცაა გაწეული, საჭიროა ამ პროექტების შესახებ მსჯელობა, მათი ნაკლისა თუ დადებითი მომენტების შეფასება-გაანალიზება და წინადადებების შემუშავება ხელისუფლებისათვის მისაწოდებლად. ამ მიზნით შეიქმნა სწორედ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსთან საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭო, რომლის წევრებიც ამ ცოტა ხნის წინ პირველად შეიკრიბნენ კონცეფციებზე სასაუბროდ. სხდომას ესწრებოდნენ პროექტების ავტორები, ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატები, აფხაზეთის ხელისუფლებისა და მთავრობის წარმომადგენლები, ექსპერტები.**

— ჩვენი მიზანი და ამოცანა და თუ გნებავთ დევიზიც არის ერთი რამ, — თქვა საბჭოს მუშაობის დაწყებისას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ Თ.ᲛᲣᲐᲕᲘᲐᲛ, — ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ არა დავუპირისპირდეთ ერთმანეთს, არამედ იმ მიზნით, რომ განვიხილოთ განსხვავებული მოსაზრებები და ერთმანეთთან შევაჯეროთ ის პოზიციები, რომლებიც გააჩნიათ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტებს, მათი აკუმულირება მოვახდინოთ და ხელი შევუწყოთ იმ აზრის ჩამოყალიბებას, რომელიც აუცილებელია, რათა ხელისუფლებამ მიიღოს გადაწყვეტილება.

— ასეთი მოსაზრებაც გაჟღერდა, — თქვა თ.მჟავიამ, — რომ საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობა იმდენად მნიშვნელოვანი და რთული თემაა, რომ მას ამ ეტაპზე არ ეყოფა სახელმწიფოებრივი და შედარებით შეზღუდული პასუხისმგებლობა და მას დასჭირდება ის საყოველთაო პასუხისმგებლობა, რომელიც შესაძლოა დაფიქსირდეს რეფერენდუმით.

უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარემ ᲯᲔᲛᲐᲚ ᲒᲐᲛᲐᲮᲐᲠᲘᲐᲛ აღნიშნა, რომ სხდომისთვის წარმოდგენილი იქნა რამდენიმე პროექტი, მათ შორის აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ (პ.ზაქარეიშვილი, კ.კუბლაშვილი და სხვები) ცალ-ცალკე ნ.ნათაძის, ვ.თორდიას, გია ხუბუას პროექტები, ასევე შ.მოლაშხიას წერი-

## ფედერალიზმი თუ უნიტარიზმი?

ლი პრეზიდენტისადმი, რომელშიც იგი თავის შეხედულებას გამოხატავს სახელმწიფო მოწყობაზე. იქ საუბარია იმის შესახებ, რომ ავტორი მხარს უჭერს დეცენტრალიზებულ უნიტარიზმს. როგორც შევიტყვეთ, არსებობს აგრეთვე მ. პატარაიას პროექტი, რომელიც ჩვენთვის არ გადმოუციათ, ასე, რომ მასზე ამჟამად ვერ ვიმსჯელებთ.

როგორც ჯ.გამახარიამ აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტები შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: პირველი — აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ და გია ხუბუას პროექტი; მეორე ჯგუფი — აშკარად გამოხატული უნიტარისტები — ნოდარ ნათაძის პროექტი, ვ.თორდიას ხედვა, მ.პატარაიას პროექტი; მესამე ვარიანტი იქნება — დეცენტრალიზებული უნიტარიზმი.

ჩემი აზრით, — თქვა ჯ.გამახარიამ, ჩვენ იმ პროექტს უნდა დავუჭიროთ მხარი, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ორგანიზაციების კეთილგანწყობას. თუ მე დამარწმუნებენ ის ადამიანები, რომლებიც ემხრობიან უნიტარიზმს ან დეცენტრალიზებულ უნიტარიზმს, რომ ეს კონცეფცია მშვიდობიანად მოაგვარებს აფხაზეთის პრობლემას, დასვამს აფხაზებს მოლაპარაკების მაგიდასთან და მოგვიტანს საერთაშორისო მხარდაჭერას, მაშინ რასაკვირველია, ჩვენ უარს არ ვიტყვით ასეთი პროექტის მხარდაჭერაზე.

ჯ.გამახარიამ გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს 1992 წელს ავტორთა ჯგუფმა ჯემალ გამახარიას, ნაპო მესხიას, აკაკი გასვიანის, კიმ ჯაჭვლიანის შემადგენლობით შექმნეს პროექტი აფხაზეთის შესახებ, და გააცნეს იგი აფხაზთა მხარეს. იქითა მხრიდან გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ძალიან სერიოზულად აღიქვეს ეს პროექტი, მაგრამ ეს იყო თითქმის ცამეტი წლის წინ, მაშინ ფრონტის ხაზი გადიოდა გუმისთაზე და ქართული მხარე აკონტროლებდა აფხაზეთის ორ მესამედს. დღეს სხვა სიტუაციაა, ამიტომ ეს პროექტი დღეისთვის არ გამოდგება. ამჟამად სულ სხვა მიდგომებია საჭირო და ეს მიდგომები, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაზე კარგად წარმოჩენილია იმ დოკუმენტში, რომელიც ბატონებმა კოტე კუბლაშვილმა და პაატა ზაქარეიშვილმა წარმოადგინეს, ასევე მოცემულია გია ხუბუას ზოგად მიდგომებში.

— მაგრამ, იქვე ხაზი გაუსვა ჯ.გამახარიამ, რომ იმ სახით, რა სახითაც არის წარმოდგენილი პროექტი აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ, მისაღებად არ მიმაჩნია. ზოგადი მიდგომა მისაღებია, მაგრამ იქ არის შესატანი ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სერიოზული ცვლილებები. ,,თუ უზრუნველყოფილი და გარანტირებული იქნება აფხაზეთის მოსახლეობის თანასწორუფლებიანობა, არა მხოლოდ ქაღალდზე, არამედ რეალურად, მაშინ ამ პროექტის რეალიზება ქართულ სახელმწიფოს არავითარ საფრთხეს არ მოუტანს და იგი შეიძლება გახდეს საფუძველი კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება მხოლოდ აფხაზებისთვის განკუთვნილი პროექტი, მაშინ მას ექნება ძალიან დიდი წინააღმ-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

# აფხაზეთის სტატუსის შესახებ მსჯელობისას რუსის ჯარს ნუ დავივიწყებთ...

(გაგრძელება)

დეგობა იგივე დევნილების, ქართული საზოგადოების მხრიდან და ეს პროექტი ვერ გახდება კონფლიქტის დარეგულირების საფუძველი.

,,დღევანდელი ჩვენი შეკრების მიზანია კონცეპტუალურად ჩამოვყალიბდეთ, რაზე ვიმუშაოთ — განსაკუთრებულ სტატუსზე, უნიტარულზე თუ დეცენტრალიზებულ უნიტარულ მოდელზე, — თქვა ჯ.გამახარიამ, — უმაღლეს საბჭოში არ არის აზრთა სრული ერთიანობა ამ საკითხზე, იმიტომ შევქმენით საკონსულტაციო საბჭო და მოვიწვიეთ საზოგადოების წარმომადგენლები, რათა ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი შეხედულებები კონცეპტუალურ საკითხებზე.

— მე, როგორც ვთქვი განსაკუთრებულ სტატუსს ვუჭერ მხარს სათანადო ცვლილებებით, — თქვა ჯ.გამახარიამ, — მაგრამ ვთქვათ და არ დასხდნენ აფხაზები მოლაპარაკების მაგიდასთან, არ გადაწყდა ეს საკითხი მშვიდობიანი გზებით და სახელმწიფოს მოუხდა ძალის გამოყენება აფხაზეთის დასაბრუნებლად, მაშინ ბატონ კოტეს ალბათ არ ეწყინება, ამ განსაკუთრებულ სტატუსზე საუბარი უკვე აღარ იქნება, არამედ სულ სხვა სტატუსზე იქნება საუბარი.

აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. თორდიამ დამსწრეთ ერთხელ კიდევ შეახსენა, თუ როგორ იბრძვის რუსეთი აფხაზეთის დე-იურე შესაერთებლად, რა ხრიკებს არ მიმართავს ამ მიზნის განხორციელებისათვის. სამწუხაროდ, აფხაზეთის ეკონომიკური ინტეგრაცია რუსეთთან რეალურად ხორციელდება და უკვე ათი წელიწადია აფხაზეთი რუსეთის შემადგენელი ელემენტია, — თქვა მან, — აფხაზეთის მიერთების იურიდიულად გაფორმების კონკრეტული მაგალითია 2001 წლის 17 დეკემბერს მიღებული კანონი, თუ როგორ უნდა შევიდნენ სუბიექტების ნაწილები რუსეთის შემადგენლობაში. მაგრამ ამ კანონში მითითებული იყო, რომ სუბიექტის შემადგენელი ნაწილი სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში ვერ შედის, თუ სუბიექტმა ეს სურვილი არ გამოამჟღავნა, ამასთან დაკავშირებით კოკოშინმა მიმართა კიდეც საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ აქვს შემოიერთოს ყოფილი რესპუბლიკების ავტონომიები (საუბარი არის საერთაშორისო სამართლებრივად აღიარებულ ქვეყნებზე, ე.წ. ,,სახელმწიფოებზე").

ვ.თორდიას თქმით, იგი ამ შეკრების მიზანს ხედავს იმაში, რომ განისაზღვროს, თუ რას ვაძლევთ აფხაზებს და როგორ ვაპირებთ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტას. სხვა ყველაფერი მეორე ხარისხოვანია.

წინა ხელისუფლების დროს აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა პარალიზებული იყო, — თქვა ვ.თორდიამ, — მას არანაირი სურვილი არ გააჩნდა პრობლემის მოგვარებისა. დღეს არსებობს ამის სურვილი და ამის მკაფიო გამოხატულებაა კონცეფციების გაჩენა. აღსანიშნავია კ.კუბლაშვილის და მისი ჯგუფის შრომა, რომელთაც ასე ყოვლისმომცველად წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები. თუმცა არის მომენტები, რომელსაც ვერ დავეთანხმებით. პირადად მე მიუღებლად მიმაჩნია ხელშეკრულებითი ფედერალიზმი, რადგან ეს ფორმა ძალიან საზიანოს წარმოადგენს. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, — თქვა ვ.თორდიამ.

დეპუტატმა ანზორ წოწონავამ აღნიშნა, რომ თავის დროზე უამრავი მასალა დაგროვდა, ტომების სახით პარლა-



დან გამომდინარე ჩიხში შევდივართ და ერთმანეთს ვუპირისპირდებით. ჩვენ უპირველეს ყოვლისა უნდა შევთანხმდეთ იმაში, თუ როგორი უნდა იყოს აფხაზეთის სტატუსი, როგორი უნდა იყოს მისი უფლებამოსილება, რა უნდა იყოს სახელმწიფოს ხელში და რა ავტონომიისა. ამის შემდეგ ვნახოთ, თუ რას მივიღებთ. ჩემი რჩევაა ჯერჯერობით სახელზე არ ვილაპარაკოთ, იმიტომ, რომ დღესაც თეორეტიკოსებში მიდის დავა და ვერ შეთანხმებულან იმაში, თუ როგორი სახელმწიფოა ესპანეთი. სახელი შეიძლება მერეც დაერქვას, რაც უფრო მისაღები იქნება, მთავარია შინაარსობრივად მისაღები იყოს ჩვენთვის სახელმწიფო მოწყობის ფორმა და დიდი ცოდვა არ იქნება თუ ვთქვათ, ფედერალიზმს დავარქმევთ, — თქვა ვ.ხმალაძემ. შემდეგ კი აღნიშნა, რომ

რა სახელს დავარქმევთ სახელმწიფო მოწყობის სახეს, საქმე შინაარსშია და არა სახელში, მაგრამ ის წინააღმდეგია განურჩევლად ყოველგვარ დათმობაზე წასვლისა, და ამ მხრივ კარგად ესმის მალხაზ პატარაიას აღშფოთების მიზეზი.

— რაც შეეხება კონცეფციას, — თქვა გ.გვაზავამ, — კ.კუბლაშვილის და მისი მეგობრების კონცეფცია ახალი არ არის, ის ბოდენის გეგმის გაგრძელებაა პრაქტიკულად, ოღონდ უფრო გაწერილი. როგორი იქნება სუვერენული სუვერენულში, მე ეს პირადად არ მესმის, — დაუმატა მან, — ჩვენ უნდა დავსახოთ თუ სად უნდა გადიოდეს დათმობების ზღვარი, რომლის იქით გადასვლა არ შეიძლება. ერთბაშად ყველაფრის დათმობა იმ მოტივით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა ,,ტაში დაგვიკრან" არასერიოზულ და უპასუხისმგებლო ქმედებად მიმაჩნია.

სამწუხაროდ, — თქვა გია გვაზავამ, — დღეს რაღაც ისეთი სიტუაცია ჩამოყალიბდა, რომ რადგან რუსეთი გვასწრებს ჩვენ და შავ საქმეს აკეთებს თავისთვის, ჩვენ ისღა დაგვრჩენია დავასწროთ რუსეთს, ვაღიაროთ აფხაზეთის დამოუკიდებლობა, შემდეგ ეკონომიურად დავეხმაროთ მათ და პრობლემაც ამით გადაწყდება! სამწუხაროდ, დაახლოებით ასეთი

ცილიასა და სარდინიას. რაც შეეხება ეკონომიკურ მიმართულებას, — თქვა მან, — ეკონომიკური დახმარების პერსპექტივით დღეს არავინ მოიხიბლება, ბასკებს რა ეკონომიკურად უჭირთ? ან იუგოსლავიას ეკონომიკურად უჭირდა? და არც კვიპროსზე უჭირთ თურქებს და ბერძნებს... აქ სულ სხვა რამეზეა ლაპარაკი. აფხაზეთი ეკონომიურზე ცოტათი მეტია. აქ მიწაზე, ტერიტორიაზეა ლაპარაკი და ეს ასეთი მიდგომით არ გადაწყდება.

— აქ ხელშეკრულებითი სახელმწიფო ურთიერთობაზე იყო საუბარი, ეს ფორმა დაუშვებლად მიმაჩნია, — თქვა გ.გვაზავამ, — რადგან ხელშეკრულების მოშლას არაფერი არ უნდა, რაც არ უნდა დამცავი მექანიზმი ჩაიდოს იქ. ყველას კარგად გვახსოვს ომის წინ შემუშავებული კვოტა — ,,ოცდარვა — ოცდაექვსზე", რომელსაც ვითომ გააჩნდა დამცავი მექანიზმი, მაგრამ სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ მისი დაშლა შესაძლებელი ყოფილა, თანაც ძალიან მარტივად. დაშალეს კიდეც ისე, რომ დღეს ჩვენ აფხაზეთის ტიტულოვანი მოსახლეობა კი არ ვართ, არამედ ვიღაც ხალხი, რომელსაც სხვა სახელმწიფოში უნდა დაბრუნება.ეს იმიტომ მოხდა, რომ როცა ისტორია გააყალბეს, ხმა არ ამოვიღეთ, ისტორიის გაყალბებით კი იდეოლოგიურად შეამზადეს ნიადაგი აფხაზეთის ომისათვის, ახლა კი დეფაქტოდან დე-იურეში გადავალთ და საქმეც მორჩება. აი, ეს არის მარტივი რუსული სქემა, რომლის განსახორციელებლად ის ყველა საშუალებას მიმართავს. ჩვენ კი არასწორი ნაბიჯებით ამაში ხელი კი არ უნდა შევუწყოთ მას. ვერ ვიბრუნებთ ხომ აფხაზეთს, ჯობია ასე დარჩეს, მომავალ თაობას მაინც არ წავართვათ უფლება, რომ პრეტენზია მაინც წამოაყენოს აფხაზეთის დაბრუნებაზე. თუკი ჩვენ ამას დავეთანხმებით, მაშინ აფხაზეთს ვერასდროს ვერავინ ვერ დაიბრუნებს.

გია გვაზავას გამოსვლას თავის მხრივ ემოციური უწოდა დეპუტატმა ვახტანგ ყოლბაიამ. მან აღნიშნა, რომ შეფასებებზე მეტად საჭიროა წინადადებების შეთავაზება. ,,კონცეფციები ცუდია თუ კარგი, ეს სხვა საქმეა — თქვა მან, — ამ ხალხმა იშრომა, თავიდან ბოლომდე გაწერა სხვადასხვა მიმართულებები, შექმნა

არ არის აზრთა სრული ერთიანობა ამ საკითხზე, იმიტომ შევქმენით საკონსულტაციო საბჭო და მოვიწვიეთ საზოგადოების წარმომადგენლები, რათა ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი შეხედულებები კონცეპტუალურ საკითხებზე.

— მე, როგორც ვთქვი განსაკუთრებულ სტატუსს ვუჭერ მხარს სათანადო ცვლილებებით, — თქვა ჯ.გამახარიამ, — მაგრამ ვთქვათ და არ დასხდნენ აფხაზები მოლაპარაკების მაგიდასთან, არ გადაწყდა ეს საკითხი მშვიდობიანი გზებით და სახელმწიფოს მოუხდა ძალის გამოყენება აფხაზეთის დასაბრუნებლად, მაშინ ბატონ კოტეს ალბათ არ ეწყინება, ამ განსაკუთრებულ სტატუსზე საუბარი უკვე აღარ იქნება, არამედ სულ სხვა სტატუსზე იქნება საუბარი.

აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. თორდიამ დამსწრეთ ერთხელ კიდევ შეახსენა, თუ როგორ იბრძვის რუსეთი აფხაზეთის დე-იურე შესაერთებლად, რა ხრიკებს არ მიმართავს ამ მიზნის განხორციელებისათვის. სამწუხაროდ, აფხაზეთის ეკონომიკური ინტეგრაცია რუსეთთან რეალურად ხორციელდება და უკვე ათი წელიწადია აფხაზეთი რუსეთის შემადგენელი ელემენტია, — თქვა მან, — აფხაზეთის მიერთების იურიდიულად გაფორმების კონკრეტული მაგალითია 2001 წლის 17 დეკემბერს მიღებული კანონი, თუ როგორ უნდა შევიდნენ სუბიექტების ნაწილები რუსეთის შემადგენლობაში. მაგრამ ამ კანონში მითითებული იყო, რომ სუბიექტის შემადგენელი ნაწილი სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში ვერ შედის, თუ სუბიექტმა ეს სურვილი არ გამოამჟღავნა, ამასთან დაკავშირებით კოკოშინმა მიმართა კიდეც საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო, რომ თუ ქვეყანას არ სურს, ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. მერე ყველაფერი ეს საიდუმლო გრიფით დაიმალა, ამჟამად ისევ წინ წამოიწია ამ საკითხმა. 9 დეკემბერს დუმაში წარადგინეს დოკუმენტი საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს შემადგენელი ელემენტების ე.ი. ნაწილის (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, დნეპრისპირეთი) შემოერთება. აქ გამარტივებული წესია და დასაბუთებაც ძალიან საინტერესო აქვთ ამ ვაი იურისტებს.

სამართლებრივი თვალსაზრისით თურმე რუსეთს, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს უფლება

ბის ავტონომიები (საუბარი არის საერთაშორისო სამართლებრივად აღიარებულ ქვეყნებზე, ე.წ. „სახელმწიფოებზე").

ვ.თორდიას თქმით, იგი ამ შეკრების მიზანს ხედავს იმაში, რომ განისაზღვროს, თუ რას ვაძლევთ აფხაზებს და როგორ ვაპირებთ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტას. სხვა ყველაფერი მეორე ხარისხოვანია.

წინა ხელისუფლების დროს აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა პარალიზებული იყო, — თქვა ვ.თორდიამ, — მას არანაირი სურვილი არ გააჩნდა პრობლემის მოგვარებისა. დღეს არსებობს ამის სურვილი და ამის მკაფიო გამოხატულებაა კონცეფციების გაჩენა. აღსანიშნავია კ.კუბლაშვილის და მისი ჯგუფის შრომა, რომელთაც ასე ყოვლისმომცველად წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები. თუმცა არის მომენტები, რომელსაც ვერ დავეთანხმებით. პირადად მე მიუღებლად მიმაჩნია ხელშეკრულებითი ფედერალიზმი, რადგან ეს ფორმა ძალიან საზიანოს წარმოადგენს. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, — თქვა ვ.თორდიამ.



დეპუტატმა ანზორ წოწონავამ აღნიშნა, რომ თავის დროზე უამრავი მასალა დაგროვდა, ტომების სახით პარლამენტის დროებით კომისიაში, რაზეც საზოგადოებას წარმოდგენა არა აქვს. ისიც უნდა ითქვას, რომ არავითარი ნაბიჯები არ გადადგმულა მათი პრაქტიკულად რეალიზაციისთვის.

მსგავსი რამ რომ არ განმეორდეს, ამიტომ საჭიროა, მოცემულ კონცეფციებზე მუშაობისას გამოიყოს უმთავრესი, აქცენტი გაკეთდეს ყველაზე მთავარზე, იმაზე, რაც ხელს შეუწყობს აფხაზების შემობრუნებას და აფხაზეთის ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში დაბრუნებას.

პოლიტოლოგმა ვახტანგ ხმალაძემ შენიშნა, რომ ძალიან ხშირად აქცენტს ვაკეთებთ ხოლმე დასახელებაზე — ვთქვათ, უნიტარული, ფედერალური და სხვა. აქე-

ერთმანეთს ვუპირისპირდებით. ჩვენ უპირველეს ყოვლისა უნდა შევთანხმდეთ იმაში, თუ როგორი უნდა იყოს აფხაზეთის სტატუსი, როგორი უნდა იყოს მისი უფლებამოსილება, რა უნდა იყოს სახელმწიფოს ხელში და რა ავტონომიისა. ამის შემდეგ ვნახოთ, თუ რას მივიღებთ. ჩემი

რჩევაა ჯერჯერობით სახელზე არ ვილაპარაკოთ, იმიტომ, რომ დღესაც თეორეტიკოსებში მიდის დავა და ვერ შეთანხმებულან იმაში, თუ როგორი სახელმწიფოა ესპანეთი. სახელი შეიძლება მერეც დაერქვას, რაც უფრო მისაღები იქნება. მთავარია შინაარსობრივად მისაღები იყოს ჩვენთვის სახელმწიფო მოწყობის ფორმა და დიდი ცოდვა არ იქნება თუ ვთქვათ, ფედერალიზმს დავარქმევთ, — თქვა ვ.ხმალაძემ. შემდეგ კი აღნიშნა, რომ მაქსიმალური დათმობის გარეშე შეუძლებელია იმ შედეგის მიღწევა, რაც ჩვენ გვინდა, სხვანაირად საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვენ მხარს არ დაგვიჭერენ და არც ტაშს დაგვიკრავენ...

— გააჩნია რისთვის დაგვიკრავენ ტაშს, — შეეპასუხა მას ერთ-ერთი კონცეფციის ავტორი მალხაზ პატარაია, — ისინი ჩვენს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობასაც დაუკრავენ ტაშს, ვცნოთ მაშინ აფხაზეთის დამოუკიდებლობა და პრობლემაც გადაწყვეტილი იქნება...

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მადგილემ გია გვაზავამ აღნიშნა, რომ ის ვახტანგ ხმალაძეს ეთანხმება იმაში, რომ სულაც არ არის მთავარი

ყობის სახეს, საქმე შინაარსშია და არა სახელში, მაგრამ ის წინააღმდეგია განურჩევლად ყოველგვარ დათმობაზე წასვლისა, და ამ მხრივ კარგად ესმის მალხაზ პატარაიას აღშფოთების მიზეზი.

— რაც შეეხება კონცეფციას, — თქვა გ.გვაზავამ, — კ.კუბლაშვილის და მისი მეგობრების კონცეფცია ახალი არ არის, ის ბოდენის გეგმის გაგრძელებაა პრაქტიკულად, ოღონდ უფრო გაწერილი. როგორი იქნება სუვერენული სუვერენულში, მე ეს პირადად არ მესმის, — დაუმატა მან, — ჩვენ უნდა დავსახოთ თუ სად უნდა გადიოდეს დათმობების ზღვარი, რომლის იქით გადასვლა არ შეიძლება. ერთბაშად ყველაფრის დათმობა იმ მოტივით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა „ტაში დაგვიკრან" არასერიოზულ და უპასუხისმგებლო ქმედებად მიმაჩნია.

სამწუხაროდ, — თქვა გია გვაზავამ, — დღეს რაღაც ისეთი სიტუაცია ჩამოყალიბდა, რომ რადგან რუსეთი გვასწრებს ჩვენ და შავ საქმეს აკეთებს თავისთვის, ჩვენ ისღა დაგვრჩენია დავასწროთ რუსეთს, ვაღიაროთ აფხაზეთის დამოუკიდებლობა, შემდეგ ეკონომიურად დავეხმაროთ მათ და პრობლემაც ამით გადაწყდება! სამწუხაროდ, დაახლოებით ასეთი კონცეფციების წახალისებას და ფრთაშესხმას გვთავაზობენ მავანნი, რაც მიუღებლად მიგვაჩნია.

— მე ძალიან მეპარება ეჭვი, — თქვა გია გვაზავამ, რომ რუსეთს ეკონომიკურად მოვუგოთ და იქ დარჩენილ ხალხს აზრი შევაცვლევინოთ, რადგან მე ზოგიერთ იმ ავტორზე უკეთესად ვიცნობ იქ შექმნილ ვითარებას და იმ ადამიანებსაც, ვინც მართავს სიტუაციას, თუმცა ისინიც ვერ მართავენ იქ ბოლომდე ვერაფერს.

გია გვაზავამ შენიშნა, რომ ფედერალიზმზე და უნიტარიზმზე კი არ არის საქმე, საქმე იმაშია, რას ჩადებ შენ მასში. უნიტარული სახელმწიფოა იტალია, მაგრამ განსაკუთრებული სტატუსები აქვთ სი-

— აქ ხელშეკრულებითი სახელმწიფო ურთიერთობაზე იყო საუბარი, ეს ფორმა დაუშვებლად მიმაჩნია, — თქვა გ.გვაზავამ, — რადგან ხელშეკრულების მოშლას არაფერი არ უნდა, რაც არ უნდა დამცავი მექანიზმი ჩაიდოს იქ. ყველას კარგად გვახსოვს ომის წინ შემუშავებული კვოტა — „ოცდარვა — ოცდაექვსზე", რომელსაც ვითომ გააჩნდა დამცავი მექანიზმი, მაგრამ სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ მისი დაშლა შესაძლებელი ყოფილა, თანაც ძალიან მარტივად. დაშალეს კიდეც ისე, რომ დღეს ჩვენ აფხაზეთის ტიტულოვანი მოსახლეობა კი არ ვართ, არამედ ვიღაც ხალხი, რომელსაც სხვა სახელმწიფოში უნდა დაბრუნება.ეს იმიტომ მოხდა, რომ როცა ისტორია გააყალბეს, ხმა არ ამოვიღეთ, ისტორიის გაყალბებებით კი იდეოლოგიურად შეამზადეს ნიადაგი აფხაზეთის ომისათვის, ახლა კი დე-ფაქტოდან დე-იურეში გადავალთ და საქმეც მორჩება. აი, ეს არის მარტივი რუსული სქემა, რომლის განსახორციელებლად ის ყველა საშუალებას მიმართავს. ჩვენ კი არასწორი ნაბიჯებით ამაში ხელი კი არ უნდა შევუწყოთ მას. ვერ ვიბრუნებთ ხომ აფხაზეთს, ჯობია ასე დარჩეს, მომავალ თაობას მაინც არ წავართვათ უფლება, რომ პრეტენზია მაინც წამოაყენოს აფხაზეთის დაბრუნებაზე. თუკი ჩვენ ამას დავეთანხმებით, მაშინ აფხაზეთს ვერასდროს ვერავინ ვერ დაიბრუნებს.

გია გვაზავას გამოსვლას თავის მხრივ ემოციური უწოდა დეპუტატმა ვახტანგ ყოლბაიამ. მან აღნიშნა, რომ შეფასებებზე მეტად საჭიროა წინადადებების შეთავაზება. „კონცეფციები ცუდია თუ კარგი, ეს სხვა საქმეა — თქვა მან, — ამ ხალხმა იშრომა, თავიდან ბოლომდე გაწერა სხვადასხვა მიმართულებები, შექმნა მწყობრი მექანიზმი სახელმწიფოს მოწყობისა, ეს უნდა დავაფასოთ".

ვახტანგ ყოლბაიამ აღნიშნა, რომ საჭიროა რეალური სიტუაციის სწორი შეფასება. თუ ჩვენ რაღაც გადაწყვეტილებებს დროზე არ მივიღებთ, აფხაზეთი ისევე დაგვშორდება, როგორც ტაოკლარჯეთი, ბორჩალო და სხვა. ამიტომ ემოციები უნდა უკუვაგდოთ და ვიმუშაოთ წინადადებებზე, ხელისუფლებას წარვუდგინოთ ჩვენი მოსაზრებები, რა როგორ გვესახება. არ შეიძლება მარტო ლაპარაკი იმაზე, რომ „არვარგა", — თქვა ვ.ყოლბაიამ, — როცა ვამბობთ „არ ვარ-

(დასასრული მე-4 გვ.)

# აფხაზეთის სტატუსის შესახებ მსჯელობისას რუსის ჯარს ნუ დავივიწყებთ...

(დასასრული)

გა", უნდა დავასაბუთოთ კიდეც რატომ არ ვარგა და რა ალტერნატიული ვარიანტი გაგვაჩნია მის ჩასანაცვლებლად.

თემურ მჟავიამ კონსტრუქციულობისკენ მოუწოდა შეკრებილებს და სთხოვა, რომ კონცენტრაცია გაეკეთებინათ საკითხზე: რა არის ის რაც ჩვენ გვემეტება აფხაზებისთვის, რა არის ის მაქსიმალური დათმობა, რისი გაღებაც ამ მომენტისათვის შეგვიძლია. სხვანაირად ჩვენ წინ ვერ წავიწევთ, — თქვა მან.

აკაკი ბასვიანმა დასვა კითხვა: შესაძლებელია თუ არა არსებული პროექტებზე ჩვენი შეხედულებები შეჯერდეს და შეიქმნას ცალკე პროექტი, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება.

აკაკი გასვიანმა ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთის ხელისუფლება ადრეც მუშაობდა ამ საკითხებზე.

ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში მიხეილ ჯიბუტმა აღნიშნა, რომ დღევანდელი შეკრების მთავარი მიზანი უნდა იყოს საერთო მიდგომების და პრინციპების ჩამოყალიბება. ჩვენ, საერთო უნდა გვქონდეს მიდგომები და პრინციპები, თორემ ის, რომ ჩვენ რაღაც საერთო კონცეფცია გვექნება, ეს არის შეუძლებელი. თუ ჩვენ პოლიტიკურ ნებაზე და გადაწყვეტილებაზე გვაქვს საუბარი, ეს სხვა თემაა. საზოგადოება საქართველოში ძალიან გაიზარდა, — თქვა მ.ჯიბუტმა, — როდესაც ყველანაირ კონცეფციაზე დავიწყოთ საუბარი. ეს არის სულ სხვა დონე და ძალიან დიდი უპირატესობის მაჩვენებელი ენგურსგაღმა დარჩენილ საზოგადოებასთან შედარებით. მე არ გამოვრიცხავ, — თქვა მ.ჯიბუტმა, — დღეს ამის თქმას ვერავინ ვერ ბედავს, მაგრამ ხვალ შეიძლება გამოჩნდეს ვინმე, რომელიც იტყვის, — აფხაზეთი იყოს დამოუკიდებელიო! მიდგომის თვალსაზრისით უნდა იყოს ასე: თუ საჭირო იქნება ფედერალური მოდელი შეივსოს უნიტარული მოდელის ელემენტებით და პირიქით უნიტარული მოდელი შეივსოს ფედერალურის ელემენტებით და ა.შ. საბოლოო ჯამში გვექნება სულ სამი-ოთხი მიდგომა და მოდელი. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ექნება გადაწყვეტის შანსი, მას ასარჩევად ექნება რამდენიმე ვარიანტიდან ერთი.

მიმაჩნია, — თუ დავიბრუნებთ ომით, სხვა რამეს ვიტყვით და თუ მშვიდობით — სხვას? ჩემი აზრით, როგორი მეთოდითაც არ უნდა განხორციელდეს აფხაზეთის დაბრუნება, ჩემი მიდგომა იქნება ერთნაირი. თანაც, მე არა მგონია, პროდუქტიული იყოს ფიქრი იმაზე, — თქვა მ.ჯიბუტმა, — რომ რაღაც მოდელს შევიმუშავებთ და ეს შეასრულებს ანკესის როლს. ამ მოდელის გამო წამოვლენ და დასხდებიან აფხაზები მოლაპარაკების მაგიდასთან. ეს არის საკითხის გამარტივება, რადგან მათთვის აბსოლუტურიდან რაღაც რომ მოაკლო, მიმზიდველი არ იქნება".

**უნდა გავერკვეთ იმაში, სად უნდა გადიოდეს დათმობების ზღვარი**

მიხეილ ჯიბუტმა აღნიშნა, რომ გამოსავალს ერთში ხედავს: უნდა გვქონდეს როგორც ფედერალური მიდგომისათვის, ასევე უნიტარული მიდგომისათვის დასრულებული კონცეფცია და პოლიტიკურ ხელისუფლებას, როცა მას ექნება გადაწყვეტის საშუალება, კონცეფცია საძებარი არ ჰქონდეთ.

მანუჩარ ახალაია, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე — ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ გაცილებით რთულია რაღაც კონცეფციის შექმნა და მაგიდაზე დადება, ვიდრე მასზე მსჯელობა. სავსებით ვეთანხმები იმ აზრსაც, რომ ყველა კონცეფციაზე გაიმართოს მსჯელობა. წინა ხელისუფლების დროს საერთოდ გაუგებარი იყო ამ საკითხზე მსჯელობაც კი იმდენად, რამდენადაც არსებობდა დაახლოებით ოცი მიმართულება — ცენტრალური ხელისუფლების პოზიცია, აწგანსვენებული თ.ნადარეიშვილის პოზიცია, სხვადასხვა ჯგუფების ხედვები, იყო სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების პოზიცია, რო-

სახელმწიფოს ერთიანი მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში, სურს კი მას ერთიანი კონცეფციის შემუშავება. დღეს ვხედავთ, რომ ეს სურვილი არის და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. დღეს ხელისუფლების მხრიდან არის მოწოდება და დაინტერესება იმ მხრივ, რომ თუნდაც საზოგადოებრივმა სექტორმა, თუნდაც არა აქვს მნიშვნელობა ვინ, წარმოადგინოს თავისი ხედვა.

მ.ახალაიამ მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომ მიმართულებების მიხედვით მოხდეს კონცეფციების განხილვა და არა იმის მიხედვით, ვინ რა წარმოადგინა.

„მე მგონი ჩვენი მიზანია რაიმე ღირებული დავდოთ მაგიდაზე — თქვა მ.ახალაიამ და ამ მიზანს უნდა დაექვემდებაროს ყოველივე..."

აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციის ერთ-ერთმა ავტორმა და პარლამენტის წევრმა ივლიანე ხაინდრავამ განაცხადა, რომ საჭიროა ისეთი მიდგომის შემუშავება, რომელიც მისაღები იქნება ყველასათვის. კონცეფციაზე საუბრისას და მისი საბოლოო ვარიანტის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ის, რომ ტრაგედია არ განმეორდეს. პრეზიდენტმა ამას წინათ მიანიშნა, რომ არ შეიძლება ამ პრობლემის გადადება. დღეს არსებობს შანსი გადაწყდეს აფხაზეთის საკითხი და ეს შანსი თუ დავკარგეთ, აფხაზეთის დაბრუნების საკითხი სხვა თაობას, ჩვენი შვილიშვილების თაობას ექნება გადასაწყვეტი.

ივლიანე ხაინდრავამ თქვა, რომ კონ-

ელის კოსოვოს პრობლემის გადაწყვეტას, საყურადღებოა მღელვარება კატალონიის გამო. გამომდინარე ევროპული კურსიდან შეიძლება სათანადო ორიენტირების შერჩევა.

პარლამენტარი შოთა მოლაშხია დაეთანხმა მალხაზ პატარაიას იმაში, რომ მთავარი პრობლემაა რუსის ჯარი, რომელიც ენგურზე დგას.

— ჩვენი ხედვა ითვალისწინებს რუსის ჯარის ევროკავშირის სწრაფი რეაგირების კორპუსით შეცვლას, — თქვა მან, — ჩვენ ჰავიერ სოლანას გადავეცით ეს დოკუმენტი და მან თქვა, რომ მზად არის ეს კორპუსი შემოვიდეს საქართველოში. რუსეთი განიხილავს აფხაზეთის ტერიტორიის მიერთებას, ამ სიტუაციაში რამდენად მიზანშეწონილია ის შუამავლის როლში გამოდიოდეს და მისი ჯარი სამშვიდობო ფუნქციას ასრულებდეს, ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. შ.მოლაშხიამ ისაუბრა აგრეთვე ჰააგის ტრიბუნალის ამოქმედების აუცილებლობის თაობაზე. მან თქვა, რომ ევროსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჰააგის ტრიბუნალი შეიქმნას აფხაზეთთან დაკავშირებით. მან დამსწრეთ შეახსენა, რომ ეუთომ ეთნოწმენდა დააფიქსირა აფხაზეთის ტერიტორიაზე. „ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ბრალეულობის საკითხი — თქვა შ.მოლაშხიამ — არძინბამ დანაშაული ჩაიდინა და მისი პასუხისმგებლობის საკითხი ცალსახად დადგება, თუკი ჩვენ ვიქნებით თანმიმდევრულნი. ამის შემდეგ დადგება დანაშაულის ანაზღაურების საკითხი. თუ დამტკიცდა, რომ რუსეთი მონაწილეობას ღებულობდა ამ ომში, მას უნდა მოეთხოვოს კონტრიბუცია".

ზი დამოუკიდებელი არ არის თავის მოქმედებებში, მის უკან რუსეთი დგას, ამიტომ გამოდის, რომ ჩვენ აფხაზებს კი არ უნდა მოვაწონოთ თავი, არამედ იმ რუსეთს, რომლის უპირველესი მიზანია აფხაზეთის შეერთების იურიდიული გაფორმება.

„მე არ ვთვლი, რომ აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" კონცეფცია პროფესიულ დონეზე არის შესრულებული, დახვეწილი და მწყობრია, თანაც ამ კონცეფციის პირველი ოთხი თავი არ გამოქვეყნებულა და არავინ იცის იქ რა წერია. ჩემი აზრით პირველ ოთხ თავში მოცემულია იმის დასაბუთება, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის...", თქვა მ.პატარაიამ.

განსაკუთრებული სტატუსის შესახებ ერთ-ერთმა ავტორმა კ. კუგლაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ კონცეფციის ავტორთა შეხედულებები დოკუმენტშია წარმოდგენილი.. რაც შეეხება პირველ ოთხ თავს, იგი წარდგენილია იუსტიციის სამინისტროსა და უშიშროების საბჭოსათვის და გარკვეული მიზეზების გამო მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მისი გამოქვეყნება. რაც შეეხება სახელმწიფოს პოზიციას, თქვა მან, უნდა გამოიკვეთოს რას ვთავაზობთ აფხაზ ხალხს, რისი გაღება შეიძლება ამ ეტაპზე, დათმობების გარეშე შეუძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის მოპოვება.

სოხუმის უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა თ. ჩილაჩავამ ხაზი გაუსვა, რომ დღევანდელი შეკრება საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომაა. მომავალ სხდომებზე მუშაობა ალბათ უფრო ნაყოფიერი იქნება.

სხდომის დასასრულს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ აღნიშნა, რომ მომავალში ალბათ საჭირო იქნება კონცეფციებზე მსჯელობას მიეძღვნას საგანგებო კონფერენცია, ხოლო საკონსულტაციო საბჭოს მორიგე სხდომა უნივერსიტეტში ჩატარდეს.

— მეცნიერების, პოლიტოლოგების, ხელისუფლების წარმომადგენლების ფართო მონაწილეობით უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომა და ერთიანი ხედვა საქართველოს სახელმწიფო მოწყობასთან და ამ სახელმწიფოში აფხაზე-

(დასასრული)

# აფხაზეთის სტატუსის შესახებ მსჯელობისას რუსის ჯარს ნუ დავივიწყებთ...

გა", უნდა დავასაბუთოთ კიდეც რატომ არვარგა და რა ალტერნატიული ვარიანტი გაგვაჩნია მის ჩასანაცვლებლად.

თემურ მჟავიამ კონსტრუქციულობისკენ მოუწოდა შეკრებილებს და სთხოვა, რომ კონცენტრაცია გაეკეთებინათ საკითხზე: რა არის ის რაც ჩვენ გვემეტება აფხაზებისთვის, რა არის ის მაქსიმალური დათმობა, რისი გაღებაც ამ მომენტისათვის შეგვიძლია. სხვანაირად ჩვენ წინ ვერ წავიწევთ, — თქვა მან.

აკაკი გასვიანმა დასვა კითხვა: შესაძლებელია თუ არა არსებული პროექტებზე ჩვენი შეხედულებები შეჯერდეს და შეიქმნას ცალკე პროექტი, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება.

აკაკი გასვიანმა ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთის ხელისუფლება ადრეც მუშაობდა ამ საკითხებზე.

ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში მიხეილ ჯიბუტმა აღნიშნა, რომ დღევანდელი შეკრების მთავარი მიზანი უნდა იყოს საერთო მიდგომების და პრინციპების ჩამოყალიბება. ჩვენ, საერთო უნდა გვქონდეს მიდგომები და პრინციპები, თორემ ის, რომ ჩვენ რაღაც საერთო კონცეფცია გვექნება, ეს არის შეუძლებელი. თუ ჩვენ პოლიტიკურ ნებაზე და გადაწყვეტილებაზე გვაქვს საუბარი, ეს სხვა თემაა. საზოგადოება საქართველოში ძალიან გაიზარდა, — თქვა მ.ჯიბუტმა, — როდესაც ყველანაირ კონცეფციაზე დავიწყეთ საუბარი. ეს არის სულ სხვა დონე და ძალიან დიდი უპირატესობის მაჩვენებელი ენგურსგაღმა დარჩენილ საზოგადოებასთან შედარებით. მე არ გამოვრიცხავ, — თქვა მ.ჯიბუტმა, — დღეს ამის თქმას ვერავინ ვერ ბედავს, მაგრამ ხვალ შეიძლება გამოჩნდეს ვინმე, რომელიც იტყვის, — აფხაზეთი იყოს დამოუკიდებელიო! მიდგომის თვალსაზრისით უნდა იყოს ასე: თუ საჭირო იქნება ფედერალური მოდელი შეივსოს უნიტარული მოდელის ელემენტებით და პირიქით უნიტარული მოდელი შეივსოს ფედერალურის ელემენტებით და ა.შ. საბოლოო ჯამში გვექნება სულ სამი-ოთხი მიდგომა და მოდელი. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ექნება გადაწყვეტის შანსი, მას ასარჩევად ექნება რამდენიმე ვარიანტიდან ერთი.

— რა მეთოდით უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი, ამაზეა მიბმული კონცეფცია, — თქვა მ.ჯიბუტმა, — ეს კი არასწორად მიმაჩნია, — თუ დავიბრუნებთ ომით, სხვა რამეს ვიტყვით და თუ მშვიდობით — სხვას? ჩემი აზრით, როგორი მეთოდითაც არ უნდა განხორციელდეს აფხაზეთის დაბრუნება, ჩემი მიდგომა იქნება ერთნაირი. თანაც, მე არა მგონია, პროდუქტიული იყოს ფიქრი იმაზე, — თქვა მ.ჯიბუტმა, — რომ რაღაც მოდელს შევიმუშავებთ და ეს შეასრულებს ანკესის როლს. ამ მოდელის გამო წამოვლენ და დასხდებიან აფხაზები მოლაპარაკების მაგიდასთან. ეს არის საკითხის გამარტივება, რადგან მათთვის აბსოლუტურიდან რაღაც რომ მოაკლო, მიმზიდველი არ იქნება".

**უნდა გავერკვეთ იმაში, სად უნდა გადიოდეს დათმობების ზღვარი**

მიხეილ ჯიბუტმა აღნიშნა, რომ გამოსავალს ერთში ხედავს: უნდა გვქონდეს როგორც ფედერალური მიდგომისათვის, ასევე უნიტარული მიდგომისათვის დასრულებული კონცეფცია და პოლიტიკურ ხელისუფლებას, როცა მას ექნება გადაწყვეტის საშუალება, კონცეფცია საძებარი არ ჰქონდეთ.

მანუჩარ ახალაია, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე — ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ გაცილებით რთულია რაღაც კონცეფციის შექმნა და მაგიდაზე დადება, ვიდრე მასზე მსჯელობა. სავსებით ვეთანხმები იმ აზრსაც, რომ ყველა კონცეფციაზე გაიმართოს მსჯელობა. წინა ხელისუფლების დროს საერთოდ გაუგებარი იყო ამ საკითხზე მსჯელობაც კი იმდენად, რამდენადაც არსებობდა დაახლოებით ოცი მიმართულება — ცენტრალური ხელისუფლების პოზიცია, აწგანსვენებული თ.ნადარეიშვილის პოზიცია, სხვადასხვა ჯგუფების ხედვები, იყო სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების პოზიცია, რომელთაც კონფლიქტის მოგვარება ევალებოდათ და ა.შ. ერთი სიტყვით იყო უამრავი პოზიცია და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, სურს კი სახელმწიფოს ერთიანი მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში, სურს კი მას ერთიანი კონცეფციის შემუშავება. დღეს ვხედავთ, რომ ეს სურვილი არის და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. დღეს ხელისუფლების მხრიდან არის მოწოდება და დაინტერესება იმ მხრივ, რომ თუნდაც საზოგადოებრივმა სექტორმა, თუნდაც არა აქვს მნიშვნელობა ვინ, წარმოადგინოს თავისი ხედვა.

მ.ახალაიამ მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომ მიმართულებების მიხედვით მოხდეს კონცეფციების განხილვა და არა იმის მიხედვით, ვინ რა წარმოადგინა.

„მე მგონი ჩვენი მიზანია რაიმე ღირებული დავდოთ მაგიდაზე — თქვა მ.ახალაიამ და ამ მიზანს უნდა დაექვემდებაროს ყოველივე..."

აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციის ერთ-ერთმა ავტორმა და პარლამენტის წევრმა ივლიანე ხაინდრავამ განაცხადა, რომ საჭიროა ისეთი მიდგომის შემუშავება, რომელიც მისაღები იქნება ყველასათვის. კონცეფციაზე საუბრისას და მისი საბოლოო ვარიანტის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ის, რომ ტრაგედია არ განმეორდეს. პრეზიდენტმა ამას წინათ მიანიშნა, რომ არ შეიძლება ამ პრობლემის გადადება. დღეს არსებობს შანსი გადაწყდეს აფხაზეთის საკითხი და ეს შანსი თუ დავკარგეთ, აფხაზეთის დაბრუნების საკითხი სხვა თაობას, ჩვენი შვილიშვილების თაობას ექნება გადასაწყვეტი.

ივლიანე ხაინდრავამ თქვა, რომ კონფლიქტის დაწყებისას სულ სხვა რეალობა იყო, ამჟამად სულ სხვა სიტუაციაა. ეს გარემოება გამოყენებული უნდა იქნას. მან აღნიშნა, რომ გულისფანცქალით მოელის კოსოვოს პრობლემის გადაწყვეტას, საყურადღებოა მღელვარება კატალონიის გამო. გამომდინარე ევროპული კურსიდან შეიძლება სათანადო ორიენტირების შერჩევა.

პარლამენტარი შოთა მოლაშხია დაეთანხმა მალხაზ პატარაიას იმაში, რომ მთავარი პრობლემაა რუსის ჯარი, რომელიც ენგურზე დგას.

— ჩვენი ხედვა ითვალისწინებს რუსის ჯარის ევროკავშირის სწრაფი რეაგირების კორპუსით შეცვლას, — თქვა მან, — ჩვენ ჰავიერ სოლანას გადავეცით ეს დოკუმენტი და მან თქვა, რომ მზად არის ეს კორპუსი შემოვიდეს საქართველოში. რუსეთი განიხილავს აფხაზეთის ტერიტორიის მიერთებას, ამ სიტუაციაში რამდენად მიზანშეწონილია ის შუამავლის როლში გამოდიოდეს და მისი ჯარი სამშვიდობო ფუნქციას ასრულებდეს, ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. შ.მოლაშხიამ ისაუბრა აგრეთვე ჰააგის ტრიბუნალის ამოქმედების აუცილებლობის თაობაზე. მან თქვა, რომ ევროსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჰააგის ტრიბუნალი შეიქმნას აფხაზეთთან დაკავშირებით. მან დამსწრეთ შეახსენა, რომ ეუთომ ეთნოწმენდა დააფიქსირა აფხაზეთის ტერიტორიაზე. „ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ბრალეულობის საკითხი — თქვა შ.მოლაშხიამ — არძინბამ დანაშაული ჩაიდინა და მისი პასუხისმგებლობის საკითხი ცალსახად დადგება, თუკი ჩვენ ვიქნებით თანმიმდევრულნი. ამის შემდეგ დადგება დანაშაულის ანაზღაურების საკითხი. თუ დამტკიცდა, რომ რუსეთი მონაწილეობას ღებულობდა ამ ომში, მას უნდა მოეთხოვოს კონტრიბუცია".

ერთ-ერთი კონცეფციის ავტორმა მალხაზ პატარაიამ აღნიშნა, რომ მას არასწორად მიაჩნია ის, რომ რაღაცით უნდა მოვაწონოთ თავი აფხაზებს. აფხაზი დამოუკიდებელი არ არის თავის მოქმედებებში, მის უკან რუსეთი დგას, ამიტომ გამოდის, რომ ჩვენ აფხაზებს კი არ უნდა მოვაწონოთ თავი, არამედ იმ რუსეთს, რომლის უპირველესი მიზანია აფხაზეთის შეერთების იურიდიული გაფორმება.

„მე არ ვთვლი, რომ აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" კონცეფცია პროფესიულ დონეზე არის შესრულებული, დახვეწილი და მწყობრია, თანაც ამ კონცეფციის პირველი ოთხი თავი არ გამოქვეყნებულა და არავინ იცის იქ რა წერია. ჩემი აზრით პირველ ოთხ თავში მოცემულია იმის დასაბუთება, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის...", თქვა მ.პატარაიამ.

განსაკუთრებული სტატუსის შესახებ ერთ-ერთმა ავტორმა კ. კუბლაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ კონცეფციის ავტორთა შეხედულებები დოკუმენტშია წარმოდგენილი.. რაც შეეხება პირველ ოთხ თავს, იგი წარდგენილია იუსტიციის სამინისტროსა და უშიშროების საბჭოსათვის და გარკვეული მიზეზების გამო მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მისი გამოქვეყნება. რაც შეეხება სახელმწიფოს პოზიციას, თქვა მან, უნდა გამოიკვეთოს რას ვთავაზობთ აფხაზ ხალხს, რისი გაღება შეიძლება ამ ეტაპზე, დათმობების გარეშე შეუძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის მოპოვება.

სოხუმის უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა თ. ჩილაჩავამ ხაზი გაუსვა, რომ დღევანდელი შეკრება საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომაა. მომავალ სხდომებზე მუშაობა ალბათ უფრო ნაყოფიერი იქნება.

სხდომის დასასრულს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ აღნიშნა, რომ მომავალში ალბათ საჭირო იქნება კონცეფციებზე მსჯელობას მიეძღვნას საგანგებო კონფერენცია, ხოლო საკონსულტაციო საბჭოს მორიგე სხდომა უნივერსიტეტში ჩატარდეს.

— მეცნიერების, პოლიტოლოგების, ხელისუფლების წარმომადგენლების ფართო მონაწილეობით უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომა და ერთიანი ხედვა საქართველოს სახელმწიფო მოწყობასთან და ამ სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით. რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უფრო უკეთესი იქნება ჩვენი საერთო საქმისათვის.

**გულიადა ჭკადუა**